# PHOTOGRAPHY IS TRUTH - Jean-Luc Godard




# ZE GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

RAV• art review 04.2022



# ზე გავლენა

ჩავ • არტ მიმოხილვა 04.2022

--------ფოტოგრაფია – ჭეშმარიტებაა - ჟან-ლუკ გოდარი-----

# content

შინაარსი


REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
საუბარი ხელოვანთან 4
ბორის მიხაილოვის საუკეთესო კადრი

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
IN CONVERSATION WITH ARTIST 5
**Boris Mikhailov's Best Shot**

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
საუბარი ხელოვანთან 6
ინტერვიუ გურამ წიბახაშვილთან

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
IN CONVERSATION WITH ARTIST 10
**Interview with Guram Tsibakhashvili**

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
ფოტოგრაფია დღეს 13
მარი ათანელი

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
PHOTOGRAPHY TODAY 15
**Mari Ataneli**

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
ფოტოგრაფია დღეს 19
ქეთევან მაღულარია

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
PHOTOGRAPHY TODAY 22
**Ketevan Magularia**

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
ფოტოგრაფია დღეს 24
ლუიზა ჩალათაშვილი

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
PHOTOGRAPHY TODAY 28
**Louisa Chalatashvili**

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
ისტორიული რაკურსი 31
ფიქრები გიგო გაბაშვილის ფოტოგრაფიაზე

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
HISTORICAL DISCOURSE 36
**Reflections on Gigo Gabashvili'sPhotography**

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
ისტორიული რაკურსი 41
გურამ თიკანაძე

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
HISTORICAL DISCOURSE 46
**Guram Tikanadze**

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
ფოტოგრაფი ფოკუსში 51
ნათელა გრიგალაშვილი

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
PHOTOGRAPHER IN FOCUS 52
**Natela Grigalashvili**

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
სპეციალური წარდგენა 60
ინტერვიუ ნესტან ნიჟარაძესთან
მულტიმედია ფოტოგრაფიის მუზეუმი

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
SPECIAL REPRESENTATION 65
**Interview with Nestan Nijaradze**
Tbilisi Photography and Multimedia Museum

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
სპეციალური წარდგენა 68
გორელ ფოტოგრაფთა კლუბი

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS
SPECIAL REPRESENTATION 72
**Gori Photographers Club**



The Guardian

# ბორის მიხაილოვის
## საუკეთესო კადრი

**დაიბადა:** ხარკოვი, უკრაინა, 1938.
**ისწავლა:** ინჟინერია, თვითნასწავლი ფოტოგრაფი.
**გავლენა:** ყველა. ყველა კულტურა მაძლევს რაღაცას.
**უმაღლესი წერტილი:** მქონია ბევრი მაღალი წერტილი, თუმცა არა ერთი.
**დაბალი წერტილი:** ცნობილ ხელოვანად ქცევა, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ უკრაინაში ხალხი აღარ მაძლევს მათი გადაღების უფლებას. ამიტომ, ჩემი წვდომა ადამიანებსა და ადგილებზე შემცირდა.
**რჩევა:** მიმოიხედე შენს გარშემო.



„ჩოგბურთის მოედანი ცხოველის გალიასავითაა - რაღაც, რაც საზოგადოებისგან შორს დგას“

ეს სურათი 1970-იან წლებში, ხარკოვშია გადაღებული, უკრაინის ქალაში, სადაც მე დავიბადე. ახალგაზრდობაში კალათბურთი მიყვარდა, მაგრამ მსურდა უფრო დახვეწილი ვყოფილიყავი და, ამიტომ, ჩოგბურთის თამაში დავიწყე. ეს სპორტი მთლიანად სოციალურ პოზიციონირებაზეა აგებული: ჩოგნის შეძენა ძვირი ღირს, ამიტომ ეს ყველას არ შეუძლია. ჩოგბურთის მოედანი საზოგადოებისგან განყენებულია, როგორც ცხოველის გალია.

როცა ხელოვანი ხარ, ბევრი თავისუფალი დრო გაქვს. მაშინ თავისუფალ დროს მეგობრებთან - მაშასა და ვალერასთან ერთად ვატარებდი. ჩემი ფოტოაპარატი სულ თან დამქონდა. ერთ დღეს, სეირნობისას, წითელი ყვავილებით სავსე მდელო დავინახეთ. ინტუიციამ მიკარნახა, რომ იქ ფოტო უნდა გადამეღო. არც კი დამჭირვებია მათთვის მეთქვა, თუ რა უნდა გაეკეთებინათ: ყველას უყვარს კამერის წინ პოზირება. ვალერა, მარჯვნივ, სულ ასე დგას - გაბედულად. ჩემთვის ეს პოზა ძალიან თანამედროვეა, ახალი თაობის სიმბოლო. ყვავილებმა ამავსეს გრძნობით, რომ ადამიანის ცხოვრებაში ყოველივე კარგი სხვების სისხლის შედეგად მოდის - საბჭოთა ცხოვრების საფუძველი მილიონობით შეწირული სიცოცხლის პირდაპირი შედეგია.

ეს სურათი ჩემ მიერ 2006 წელს შექმნილი ფოტოსერიის ნაწილია სახელად „გუშინდელი სენდვიჩი“, სადაც ჩემი წარსულიდან ორი სურათის გაერთიანება მოხდა. ჩემი მეგობრების სურათი ორგზით ექსპონირებულია პოსტერის სურათზე, რომელიც იმ დროს ქალაქში ვნახე. არ მახსოვს რისთვის იყო, ალბათ რომელიმე ცნობილი კომუნისტის რეკლამა, როგორც ყველა იმ დროის პოსტერი, იდეოლოგიით დატვირთული. ვალერას უჭირავს ჩოგანი, როგორც მებრძოლს ხმალი. სწორედ ამიტომ, ეს კადრი ოსკარ უაილდის ჩემი საყვარელი პოემის „რედინგის ციხის ბალადის“ ბოლო სტროფებს მახსენებს. ვფიქრობ, რომ ეს ჩემი პოემაა:

> And all men kill the thing they love,
> By all let this be heard,
> Some do it with a bitter look,
> Some with a flattering word,
> The coward does it with a kiss,
> The brave man with a sword!

ჩემთვის ყველაფერი ამ კადრით დაიწყო. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი თავი ხელოვანად.

REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

IN CONVERSATION WITH ARTIST

# Photographer Boris Mikhailov's best shot

**I think of a tennis court as being like an animal's cage – something that stands apart from society'**

his photograph was taken in the 1970s in Kharkov, the town in Ukraine where I was born. When I was young, I loved basketball, but I wanted to become more cultured so I took up tennis. It's a sport that's all about social positioning: buying a racket is expensive, so not everyone can do it. I think of a tennis court as something that stands apart from society, like an animal's cage.

Being an artist gives you a lot of free time. In those days, I would spend it with my friends, Masha and Valera, always carrying my camera with me. One day, we were walking around and saw a field full of red flowers. Intuition told me to take a picture here. I didn't have to tell them what to do: everyone likes to pose for a camera. Valera, on the right, stands like that – boldly – all the time. To me, it's a very contemporary pose, symbolising the new generation. The flowers fill me with the feeling that the good in one's life comes as the result of the blood of others – the basis of Soviet life being the direct consequence of millions of sacrificed lives.

This image was part of a series I put together in 2006 called Yesterday's Sandwich, in which two pictures from the past were combined. My friends have been superimposed over a photograph of a poster I saw in town at that time. I don't remember what it was for, but it was probably advertising a demo or an important communist, as all posters at that time were ideological. Valera is holding the racket like a fighter bearing a sword. That's why the shot reminds me of the final verse of my favourite Oscar Wilde poem, The Ballad of Reading Gaol. I think of it as my poem:

*And all men kill the thing they love,*
*By all let this be heard,*
*Some do it with a bitter look,*
*Some with a flattering word,*
*The coward does it with a kiss,*
*The brave man with a sword!*

For me, everything started with this shot. I felt like an artist for the first time in my life.

**Born:** Kharkov, Ukraine, 1938.

**Studied:** Trained as an engineer then self-taught as a photographer.

**Influences:** Everybody. All cultures give me something.

**High point:** There have been many high points but not a single one.

**Low point:** Becoming known as an artist, because it has meant that people in Ukraine no longer give me permission to photograph them, so my access to people and places has lessened.

Tip: Look around you.

The Guardian

Interview by ***Sarah Phillips***

REACH art VISUAL

ART consulting company

PRESENTS

საუბარი ხელოვანთან

ინტერვიუ



# გურამ წიბახაშვილთან

**ზოგადი საკითხით დავიწყოთ. ფოტოგრაფია არის რაღაც რაც შეცვლის სამყა-როს. როგორ განსაზღვრავდით ან განმარტავდით მის როლს თანამედროვე ხე-ლოვნებაში, სადაც დინამიური, ცვა-ლებადი არტისტული პროცესებია?**

ფოტოგრაფიის გაჩენის საწყის ეტაპზე დაგერის პერიოდიდან გაჩნდა ასეთი შეფასება, რომ ფო-ტოგრაფი არის ადამიანი რომელიც შეცვლის სამყაროს. რეალურად ასეც მოხდა და ასე გრძელდება დღესაც. ჩვენ სამყაროს 80%-ს უკვე აღვიქვამთ ფოტოგრაფიული გამოსახულე-ბით. კინო, ვიდეო ესეც ფოტოგრაფიული გამოსახულებებია. ფოტოგრაფია არ გვაძლევს საშუა-ლებას რომ რაღაცები დავივიწყოთ, რადგან ის ქმნის ვიზუალურ მეხსიერებას. ერთია როდესაც იცი ან შეესწარი ფაქტს, ასეთ შემთხვევაში ის მაინც დავიწყებადია. სრულიად სხვაა, როდესაც ეს ფაქტი აღიბეჭდა. ადამიანს აქვს უნარი მოვლენის დავიწყების, ფოტოგრაფია კი სხვა რეალობას ქმნის რაც ამ უნარის საპირისპიროა. შესაბამისად, ფოტოგრაფის როლიც დღევანდელ ცვალე-ბად სამყაროში მნიშვნელოვანია.

**თქვენი შემოქმედება აერთიანებს მნიშვნელოვან დეკადებს უახლესი საქართველოს ისტორიიდან. დაარქივება იყო თქვენი მიზანსწრაფვა თუ ქაოტური სურვილი აღგებეჭდათ მნიშვნელოვანი მომენტები?**

დაარქივება არ იყო იმ მომენტში თვითმიზანი ან გაცნობიერებული აქტი, ეს ძალიან გვიან გაცნობიერდა. იმ მომენტში ვიყავი მონაწილე ამა თუ იმ მოვლენის და ჩემი მონაწილეობა ფოტოს გადაღებით გამოიხატებოდა. ეს იმ პროცესში ჩემთვის ვნება იყო. მსურდა ეს დამეფიქსირებინა, როდესაც ვიღაც პერფორმანსს აკეთებდა ან ლექსს კითხულობდა, ამიტომაც ამ სურვილს ვნებას ვუწოდებ. საკმაოდ ბევრს ვიღებდი და ამან განაპირობა რომ ეს ვიზუალური მასალა უკვე მნიშვნელოვანი დოკუმენტი გახდა, რომელიც რაღაცას ამტკიცებს და თავისი სიცოცხლე აქვს. დღეს როცა ვიღებ თანაბრად მოქმედებს როგორც ვნება, ასევე ფაქტი, რომ მნიშვნელოვან მოვლენას ვაფიქსირებ.



**ფოტო გამოსახულება და დროითი კავშირი. მომენტი, რომელიც ისტორიად იქცევა. ეს საკითხი როგორ განივრცობა თქვენ შემოქმედებაში? როგორია თქვენი აღქმა დროსთან და ფოტოგრაფირების პროცესთან?**

დრო არის თვითონ ის განზომილება, რომელიც ცვლილებას იწვევს. დროის ფაქტორი განსაზღვრავს იმას, რომ რაღაც ადგილი იცვლება. რადგანაც ფოტოგრაფი ამას აფიქსირებს, ის სწორედ ამ ცვლილებას აფიქსირებს. გადაიღებ და აღბეჭდილი წამის მერე სრულიად სხვა რამე იქნება დასაფიქსირებელი. ხშირად ეს ტრანსფორმაცია, რასაც სამყარო განიცდის შეიძლება იყოს უხილავი ცნობიერებისთვის და სწორედ დრო არის საჭირო რომ გააცნობიერო ეს თუ ის ცვლილება ან თავად ფაქტი, რომ შენც შეიცვალე, ეს ფოტოზე თვალსაჩინოდ ჩანს ხოლმე. ერთი სერია მაქვს ამ თემაზე გაკეთებული „ქალი ღრუბელი“, ერთ-ერთი ნამუშევარი ამ სერიიდან მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ინახება. ამ სერიაში წამის სხვადასხვა მონაკვეთშია დაფიქსირებული ღრუბლის და ქალის გამოსახულებები. თვალსაჩინოა, რომ ადამიანის ცვლილება დროის ამ მცირე მონაკვეთში შეუმჩნეველია. გაცილებით მეტი დროა საჭირო ადამიანის ცვლილების დასაფიქსირებლად. „ქალი ღრუბელი“ აქ უშუალოდ ვეხებოდი ამ საკითხს, თუ როგორაა შესაძლებელი კამერით დროის ცვლილების ასახვა.

**მნიშვნელოვანი ფოტოსერია, რომელზე მუშაობაც განსაკუთრებულ პროცესად იქცა.**

ნაკლებად გამოვარჩევ ხოლმე, თუმცა მახსოვს პირველ ფოტო სერიაზე მუშაობა, რომელსაც „მკვდარი ქალაქი“ ერქვა. ეს ნამუშევრები სამწუხაროდ დაიკარგა. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ჩემთვის მაინც











გახდა ჯეიმს ჯოისის კითხვის პროცესს მიძღვნილი სერია „ულისე“, რომელშიც 70-მდე ფოტოა გაერთიანებული. ეს სერია საკმაოდ პოპულარული გახდა და 20-მდე გამოფენაში მიიღო მონაწილეობა ხან სრულად, ხან ნაწილობრივ, სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის დუბლინში. „ულისე“ შემდეგ გამოიცა ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით წიგნად. რაღაცნაირად ამ ნამუშევარმა გაიარა სრული გზა - გამოიფინა, წიგნი გამოიცა, სტატიები დაიწერა მის შესახებ და ამდენად გამორჩეული გახდა. ბოლო ნაწილი, რომელიც ეროტიკულია მის გადაღებას ასე პირდაპირ ვეღარ გავაგრძელებდი, ამიტომ გადავიღე მხოლოდ სავარაუდო ადგილები, სადაც ეს სიუჟეტები შეიძლებოდა განვითარებულიყო. შემდეგ ჩემს მეგობარს, მხატვარ რიტა ხაჩატურიანს ვთხოვე დაესრულებინა. ამდენად ბოლო ნაწილი უკვე ფერადია, სადაც არის ფოტო, ტექსტი და ფერწერა. ეს კოლაბორაცია ჩემთვის ორმაგად სასიხარულო იყო, რადგან მარტო მუშაობა ისედაც არ მიყვარს და თანაც ასეთი გამორჩეუ-ლი ხელოვანი რომ ერთვება, შედეგიც ძალიან საინტერესო გამოვიდა.

**ერთია ფოტოგრაფია, როგორც გადაღების პროცესი, მეორეა მისი რეპრეზენტაციის ფორმები. რამდენიმე წიგნი გამოეცით. როგორ შეაფასებდით ფოტო წიგნზე მუშაობას? რა სირთულეები ან უპირატესობა გააჩნია ამგვარი ფორმატით ნამუშევრების ფიქსირებას?**

წიგნი ფოტოგრაფისთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის და ვფიქრობ, უპირატესიც კი ვიდრე გამოფენა. მაგალითად, გამოფენა იწყება და მთავრდება, წიგნი კი მუდმივად არსებობს. ამავდროულად, წიგნზე მუშაობის დროს გაქვს საშუალება მეტად გაამახვილო ყურადღება დეტალებზე, ამოიღო დეტალი ფოტოდან, ტექსტით მიუთითო, თანმიმდევრობა იმგვარად განალაგო რომ უფრო აღქმადი გახდეს. წიგნი მეტი კომპონირების და თხრობის უფრო მეტ საშუალებას გაძლევს.

**ფოტოგრაფია, ვიზუალური ხელოვნება, ლიტერატურა. ეს კავშირები თქვენს შემოქმედებით პრაქტიკებში დინამიურად და კონცეპტუალურად ვითარდება. გაგვიზიარეთ თქვენი ხედვა ამ მიმართულებით.**

ჩემთვის ძალიან საინტერესო პროცესია რაღაცასთან ასოცირება. ჩვენ დაწერილ, დახატულ, გადაღებულ სამყაროს უკეთ აღვიქვამთ ვიდრე რეალობას. რეალობა აღარ დაგვრჩა. ამიტომ უფრო მეტ დროს ვახმართ ილუზიას, რომელიც ვიღაცის მიერ გადამუშავებულია. ამიტომ მეც მეტ დროს ვუთმობ შევისწავლო, გამოვიკვლიო ესა თუ ის ნამუშევარი როგორაა შესრულებული. სხვა ადამიანის ნამუშევრის აღქმა ნიშნავს შეძვრე მის ტყავში. ვფიქრობ, რომ თუ ეს განცდა მიიღე შეგიძლია შენც გადაამუშაო. ჩემზე მაგალითად, მაგრიტს ძალიან დიდი გავლენა ქონდა და იმდენად დიდი, რომ როდესაც მისი ტრანსფორმირება ვცადე, უფრო მეტად კოპირება გამომდიოდა. შემდეგ ასეც დავარქვი ამ სერიას „ვიპარავ მაგრიტს“. დღევანდელი ხელოვნება ესაა, რაც უფრო მეტი ვექტორი შემოგყავს მით მეტად საინტერესო ხდება ნამუშევარი, რომელიც რაღაც ხაზს აჩვენებს. თუ ამ ორიენტირებს კითხულობ თანამედროვე ხელოვნებასაც მეტად იგებ და აღიქვამ.





## ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲬᲘᲚᲐᲓ ᲨᲗᲐᲛᲐᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ

რა თქმა უნდა, ბევრი მყავს ასეთი. რამოდენიმე ხელოვანი მუდმივად დარჩა ჩემთვის გამორჩეული. პაულ კლეე და მისი აზროვნება მაგალითად, რომელიც ბოლოს ანგელოზების მარტივი ფორმების გამოსახვამდე მივიდა. საი ტომბლი, რომელიც ყველაზე საეჭვო მხატვარია. ის ორი რადიკალური პოზიციით ფასდება - მასში ხედავენ ან არაფერს ან ყველაფერს. პირველად როცა მისი ნამუშევრები ვნახე, იმდენად დიდი მიზიდულობის ძალა ქონდა, რომ ინტუიციით ვიგრძენი რამდენად ნამდვილი ხელოვნების წინაშე ვიყავი. მიყვარს ლეონარდო დავინჩი, სწორედ იმიტომ რომ მის შემოქმედებაში არის კვლევა, რაც დიდ შთაბეჭდილებას მაძლევს. დუანა მიხალსი, ამერიკელი ფოტოგრაფი, რომელიც აბსოლუტურად განსხვავებული ფოტოგრაფია და სხვა ცნობილი ფოტოგრაფებისგანაც მსმენია რომ მისი გავლენის ქვეშ თავადაც არიან. თვითონაც იცის ეს მაგრამ არასდროს აფიშირებს.

## ᲛᲘᲐᲮᲚᲝᲔᲑᲐ, ᲓᲔᲢᲐᲚᲘ, ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲠᲐᲙᲣᲠᲡᲘ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲗ ᲤᲝᲢᲝᲡ ᲫᲐᲚᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲣᲡᲮᲕᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ. ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲑᲐᲠᲢᲘᲡ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲡ ᲗᲣ ᲛᲝᲕᲘᲨᲕᲔᲚᲘᲔᲑᲗ ᲐᲛᲒᲕᲐᲠ „ᲞᲣᲜᲥᲢᲣᲛᲡ“ ᲐᲦᲬᲔᲕᲗ?

რთულია ეს სიტყვებით გამოითქვას, მაგრამ გარემოებებს გააჩნიათ მუხტები. ეს განსაზღვრული და აღწერადი არ არის. შეიძლება უცბად შეუხვიო ქუჩაზე და ინტუიტიურად მიხვდე, რომ აქ არის მუხტი და გინდა ეს გადაიღო. სწორედ ფოტოგრაფიული მუხტი გაიძულებს რომ გაჩერდე და ღილაკს თითი დააჭირო. შეიძლება გადაიღო, გავიდეს ერთი წელი და ეს მუხტი ფოტოზე არც იყოს ასახული. ეს არ ნიშნავს რომ იქ ეს მუხტი არ იყო და მოგვეჩვენა, მუხტი იყო, მაგრამ ვერ დააფიქსირე. შესაბამისად, ეს არსებული მუხტები გაიძულებს რომ ფოტო გადაიღო. ხანდახან ეს გარემო შეიძლება ადამიანი იყოს. ესაა ჩემთვის მაპროვოცირებელი, თუ რატომ გინდება კამერა ხელში აიღო. თუ ეს არ არსებობს, შეიძლება მიიღო ვიზუალურად საინტერესო განლაგება, მაგრამ მუხტი არ იგრძნო და გადაღებაც ასეთ დროს არ გინდება. მეორე მხრივ, ცარიელი შეიძლება იყოს რაღაც და მაინც იგრძნო ეს დამუხტვა. პირველი ფოტო დაკვეთა ბატონმა რეზო ესაძემ მომცა. ის მაშინ მუშაობდა დირექტორად კინოსტუდია დებიუტში, სადაც ახალგაზრდა რეჟისორების პორტრეტები უნდა გადამეღო, როდესაც ისინი ფილმზე მუშაობდნენ. ბატონი რეზო რომ გავიცანი მივხვდი, რომ გამორჩეულ პიროვნებას შევხვდი. ტიპიური საბჭოთა შენობის სივრცეში ამ კინო სტუდიაში მან მაჩვენა სივრცე და მითხრა „აი ეს არის ცარიელი კედლები, ჩამოკიდე ფოტოები, რომლებზეც არაფერი არ არის“. ეს იმდენად დამამახსოვრდა და დამაფიქრა, რომ შეიძლება იყოს ფოტო, სადაც არაფერი არ არის და ის მაინც ფოტოა. ბატონ რეზოს იდეებს და საუბარს რაც მეტად ვისმენდი, მით მეტად ვხდებოდი რომ ისინი არიან აბუსრდულობის ზღვარზე, მისი ფილმებიც ასეთია. ამან დამაფიქრა მეთოდზე, ფოტოს შესაძლებლობებზე, სადაც არამხოლოდ ამბავია და მოვლენა დაფიქსირებული, არამედ რეალობა, რომელიც იდუმალებითაა მოცული და შემდგომ შენ გადააქცევ მას ილუზორულად, როდესაც იღებ.



REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

IN CONVERSATION WITH ARTIST

# interview with



# Guram Tsibakhashvili



***Let's start with a general topic. A photographer. How would you define this role in contemporary art where the artistic processes are dynamic and ever-changing?***

From the initial stages of development of photography, in the Daguerre period, there was the assessment that a photographer was a person who would change the world. This is, in fact, what happened and is continuing to happen in reality. We perceive 80% of the world through photography. Cinema and video are also photographic depicti-ons. A photographer does not let us forget things, because they create a visual memory. It is one thing to witness a fact – this can still be forgotten. It is a completely diferent thing when this fact has been captured forever. Humans have the ability to forget, but photography creates a completely different reality that counteracts this ability. Therefore, the role of a photographer in the everchanging modern world is very important.

***Your creative work unites important decades of modern Georgian history. Was your goal to archive these periods or was it a chaotic wish to capture moments?***

In that moment I was not consciously thinking about archiving, I realized that much later. I was a part of this or that moment and my participation was expressed in capturing it. This was my passion in that moment. I wanted to capture when someone was performing or reading a poem, I call this wish my passion. I was shooting quite a lot, which turned this material into an important document and gained a life of its own. When I shoot today, the feelings of my passion and the fact that I am capturing an important moment are equally prevalent.

***A photographic depiction and time connection. A moment turned into history. How is this aspect developed in your work? What is your perception of time and the process of photography?***

Time is the dimension that sparks change. The time factor determines the change of a space. Photography captures this change. Seconds after you shoot, the space you captured is completely different. Often this






transformation that the world is experiencing can be invisible to consciousness, and it takes time to realize this or that change or the very fact that you have changed, but it can be clearly seen in photos. I have one series on this topic, "Woman Cloud", one of the works from this series is kept in the Museum of Contemporary Art in Moscow. In this series, images of a cloud and a woman are recorded at different points in seconds. It is obvious that human change is unnoticed in this small period of time. It takes a lot more time to notice human change. "Woman Cloud" - here I was directly dealing with the issue of how it is possible to reflect the change of time with the camera.

***An important photo series that has become a special process to work on.***

I usually do not differentiate, but I remember working on my first photo series called "Dead City". Unfortunately, these works have since been lost. Particularly important to me, however, was the series "Ulysses" dedicated to the reading process of James Joyce, which includes about 70 photos. This series has become quite popular and has participated in up to 20 exhibitions, sometimes in full, sometimes in part, in various countries, including Dublin. "Ulysses" was later published as a book at the initiative of the National Library. Somehow this work went the full way - it was exhibited, a book was published, articles were written about it and thus it became special. I could not continue shooting the last part directly, since it is erotic, so I captured only the possible places where these stories could have unfolded. Later, I asked my friend, ar-



my friend, artist Rita Khachaturian, to finish it. Thus, the last part is already in color where there is a photo, text and painting. This collaboration was particularly rewarding for me, because I do not like working alone and with the involvement of such a distinguished artist, the result was very interesting.

***Photography, as the process of shooting is one thing, the forms of its representation are another. You have published several books. How would you assess working on a photo book? What are the difficulties or advantages of capturing works in such a format?***

A book for photography is very important, I think, maybe, even more important than exhibitions. For instance, exhibitions start and end, but books remain forever. Simultaneously, when working on a book, you can focus more on the details, grasp the details from the photos, point to the text, arrange the sequence in a more perceptible way. The book allows you to do more composing and narration.

***Photography, visual art, and literature. This connection develops dynamically and conceptually in your creative practice. Share your vision in this regard.***

Association is a very interesting process for me. We perceive a written, painted, captured world much better than the reality. We do not have any reality left. So, we spend more time on the illusion that has been reworked by someone. So, I spend more time researching how this or that work is done. Perceiving another person's work means crawling into their skin. I think if you perceive that feeling you can process it too. For example, Magritte had a huge impact on me. It was so big that when I tried to transform it, it came out more like copying. Later this is what I called the series – "Stealing Magritte". The art of today is this - the more vectors you bring in the more interesting the work becomes. If you read these orientations, you will learn and perceive contemporary art better.

***Important artists whose works were inspiring for you***

Of course, there are many such artists. Certain artists forever remain important for me. Paul Klee and his thinking for example, which finally came down to the depiction of simple forms of angels. Cy Twombly, who is the most dubious artist. It is judged by two radical positions - they see in it either nothing or everything. The first time I saw his work, it had such a strong gravitational pull that I intuitively felt how much I was facing real art. I love Leonardo da Vinci, precisely because there is research in his work, which has great influence on me. Duane Michals, an American photographer. I have heard from completely different photographers and other famous artists that they are also under his influence. He knows this himself but never advertises it.

***Approximation, detail, subjective perspective – we can define the power of a photo, what enchants the viewer in different ways. Is there a method in your work process which, if we use Barthes' term, lets you achieve a punctum?***

It is difficult to put this into words, but environment has its own charge. This is not definitive or descriptive. You could turn a corner and instinctively feel a charge there and decide to shoot. It is this photographic charge that makes you stop and push that shutter. You might shoot, and a year later, the spark is still not there. It does not mean there was no charge and you were mistaken, it means that you failed to capture it. These charges make us want to take photos. Sometimes this environment can be a person. This is what provokes me to pick up the camera. If




this does not exist, you can achieve a visually pleasing photo but it will not make you feel the charge, and, in those moments, there is no urge to shoot either. On the other hand, sometimes you can feel the charge in complete emptiness. My first photo commission was by Rezo Esadze. He was working as a director at the Film Studio Debut, where I had to take portraits of young directors while they were working on the film. When I met Rezo, I knew he was a special person. He took me to the movie studio space located in a typical Soviet building and told me – "These are the empty walls, hang up photos that show nothing". This was very memorable to me, there can be a photo showing nothing, but it is still a photo. The more I listened to Rezo and his ideas, the more I realized that they were on the verge of absurdity, just like his films. This made me reflect on the method, on the possibility of photography, where not only a story deserves thought, but also the mysterious reality which you turn into an illusion as you shoot.

## ფოტოგრაფია დღეს





# მარი ათანელი

კაცობრიობა ზედმეტი ფიქრისგან უკვე საკმარისად დაიტანჯა. საინტერესოა, რომ ადამიანს, სრულიად მარტივად და გააზრებულად, შეუძლია კვებოს ეგო და შიში, ხოლო სიყვარული აშიმშილოს. შეგვიძლია თავი ავარიდოთ სიცოცხლეს და სამოთხეში ბედნიერების ნექტარის დასაგემოვნებლად სიკვდილს დაველოდოთ. მთავარი შეკითხვა კი ისაა, ხარ თუ არა ცოცხალი სიკვდილამდე.









არც სამოთხე და არც ჯოჯოხეთი არ არის ადგილმდებარეობა, ორივე გონების მდგომარეობაა და მხოლოდ ჩვენი არჩევანია აკონტროლო გონება და გახდე მისი ბატონი, თუ მისცე ნება გონებას გმართოს და გახდე მისი მონა.

ბუდა ღმერთი არ არის, ბუდა ცნობიერებაა და მას შეუძლია იმის დანახვა, რაც სინამდვილეშია, აბსოლუტური და არაორმაგი არსებობა. გონება მაგნიტია და აზრებს იზიდავს, შესაბამისად, ჩვენ ვირჩევთ ისინი ჯოჯოხეთის თუ სამოთხისკენ მივმართოთ.

ჩემს მიერ ვირტუალური თხრობა არაფერია გარდა ტოტალური მიმღებლობის, განცდილი სიცოცხლის, ცვლილებების, ტრანსფორმაციული და უნიკალური მომენტების ზეიმი, რომელიც არასდროს დაბრუნდება (ტკივილი-სიამოვნება, სევდა, მხიარულება, ტანჯვა-ექსტაზი, სიცოცხლე-სიკვდილი), საკუთარი თავის აღმოჩენა, რეალიზება, დაკვირვება, უპირობო სიყვარული, ავთენტურობა.

## ᲩᲔᲛᲘ ᲗᲮᲠᲝᲑᲐ – ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲖᲔᲘᲛᲘᲐ

# Mari Ataneli












# THINK LESS FEEL MORE

Mankind has been suffering by overthinking enough.. Isn`t it interesting, that one can feed ego and fear deliberately, and make love starve, with total ease? We can avoid life and wait for death to taste the nectar of happiness in heaven. The real question is are u alive before you die? Neither heaven, nor inferno are location, both are the state of mind and just a choice to control the mind and become a master of it or to let the mind control and become slave.





# My storytelling is all about experiencing & celebrating life







Buddha is not a God , Buddha is consciousness and is able to see things as they truly are, as absolute and non-dual thusness.

Mind is a magnet and gravitates thoughts, so we decide to direct them into hell or heaven, both are nothing but fulfilled , experienced or unlived life. My storytelling is all about experiencing and celebrating life (pain-pleasure, self discovering, deliberation, self love , authenticity and uniqueness).



REACH
art VISUAL
ART consulting
company

PRESENTS

ფოტოგრაფია დღეს

# ქეთევან მალუღაჩია





# ფერადი ველი - ბუნების ძალა







CV

ქეთევან მაღულარია არის ფოტოგრაფი საქართველოდან, რომელიც მხატვრული ფოტოგრაფიის სხვადასხვა ნარატივს ავითარებს. დაამთავრა NYIP - ნიუ-იორკის ფოტოგრაფიის ინსტიტუტი. ქეთევან მაღულარიამ ასევე წარმატებით დაასრულა GIPA-ში სერტიფიცირებული პროგრამა. მნიშვნელოვანი პროექტები: ფოტო ფესტივალი Photoville, ნიუ – იორკი (2019), ფოტოგამოფენა „ჩემი საყვარელი კადრები“, BBA, ბერლინი (2019), Tbilisi Art Fair TAF (2019).

ქეთევან მაღულარიას უნიკალური სტილი აქვს, მისი ხედვა და ესთეტიკა ორიენტირებულია ვიზუალური კვლევის სინთეზზე და ფერის აღქმაზე. მისი ნამუშევარი ფოტოგრაფიასა და ფერწერას შორის ზღვარს შლის. იმპრესიონისტული მიდგომით, იგი აცოცხლებს ფოტოგრაფიის ორიგინალურ დინამიკას.

ფოტოსერია წარმოადგენს ქეთევან მაღულარიას მხატვრულ ფოტოგრაფიას - ფერად პეიზაჟებს, სადაც ქართული ბუნების ამსახველი კადრები მაღულარიას მხატვრული ხედვით ინტერპრეტირდება. ქეთევან მაღულარიას ფოტოობიექტივში ფერი იძენს ფერწერულ დატვირთვას. საქართველოს ბუნებით, მისი მრავალფეროვნებითა და უნიკალური ადგილებით (მთები, ზღვისპირა გარემო, მინდორი) შთაგონებული ხელოვანი გამოხატავს ფერადოვნების თავისსავე სენსუალურ მიდგომას. მისი სპეციალური ფილტრები ხაზს უსვამს ბუნების სილამაზეს და ადგილების ჰარმონიულ ბალანსს. ხელოვნურისა და ბუნებრივის გამძაფრებული დაკავშირებით მაღულარიას ფოტოგრაფია ამ ორ წინააღმდეგობას ავითარებს.





ფოტოსერია "ფერადი ველი: ბუნების ძალა“ იკვლევს ლანდშაფტის სილამაზეს, რომელშიც კონკრეტული სურათი აცხადებს ადგილის არსს და მის ატმოსფეროს. ტონალური გრადაციები რბილი ვარდისფერიდან წითელ, ყვითელ ან მწვანე ფერებამდე აძლიერებს მისტიურ განწყობას. აღნიშნული სერია ეფუძნება მაღულარიას უნარს, მოახდინოს კონკრეტული ადგილის პერსონიფიცირება, რაც არსებული გარემოს შესწავლის მომნუსხველი ეფექტია.

Ketevan Magularia

Keto_Ma

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

PHOTOGRAPHY TODAY

## Color Field: Force of Nature



Photo Series represent Ketevan Magularia's art photography - colorful landscapes depicting Georgian nature are interpreted through Magularia's artistic vision. Color acquires a pictorial load in Magularia's lens and reveals her photographic vision. Inspired by Georgia's nature, its diversity and unique locations (mountains, sea-side, field), Magularia expresses her sensual approach to coloring. Her special filters accentuate beauty of nature and harmonic balance of places. Magularia's photography further explores and intensifies the juxtaposition of artificial and natural.

Photo series "Color Field: Force of Nature" explores pure beauty of landscape in which particular image specifies essence of place and its atmosphere. Tonal gradations from soft pink to red, yellow, or green intensify the mystical mood of concrete site. Whole photo-series is based on Magularia's ability to personalize a specific environment which creates a magnificent effect of exploring surrounding nature.

**KETEVAN MAGULARIA** is a photographer who works on different narratives of artistic photography. She graduated from NYIP – New York Institute of Photography.

Ketevan Magularia also successfully completed a certified program at GIPA.

IMPORTANT PROJECTS:

- Photography festival Photoville, New – York (2019),
- Photo exhibition „My Favourite Shots", BBA, Berlin (2019),
- Tbilisi Art Fair TAF (2019).

The artist has a unique style, her vision and aesthetic are oriented on synthesizing visual research and perception of the color. Her work blurs the line between photography and painting and with an equally impressionist approach, she brings original dynamics of photography to life.



# CV



REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

# ფოტოგრაფია დღეს



## ლუიზა ჩალათაშვილი



ლუიზა ჩალათაშვილი 1987 წლის 18 ოქტომბერს თბილისში დაიბადა. ბავშვობა და სკოლის პერიოდი საგარეჯოში გაატარა. 2008 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2011 წელს – კავკასიის სამართლის სკოლის მაგისტრატურა ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

ფოტოგრაფიით 2006 წელს დაინტერესდა და ამავე წლიდან ძირითადი პროფესიის პარალელურად მუშაობდა სხვადასხვა ფოტო პროექტზე. 2010 წელს გადაეცა ფოტოკონკურს “ქოლგა თბილისი ფოტოს” სპეციალური პრიზი ორიგინალური კადრისთვის. 2015 წელს მონაწილეობა მიიღო ჯგუფურ გამოფენაში “აღმოაჩინე საქართველო ნიუ იორკში”. 2016 წელს ქალაქ ბერლინში გაიმართა მისი პერსონალური გამოფენა სახელწოდებით “თრთვილი”. ამავე წელს გახდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტის “ადამიანი კამერით” და „ქოლგა თბილისი ფოტოს“ (მობილური ფოტო: ერთი კადრი) გამარჯვებული. 2020 წელს გაიმართა ლუიზა ჩალათაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა თბილისში ფოტოატელიეში, რიჩარტ ვიზუალთან თანამშრომლობით.





ლუიზა ჩალათაშვილი თანამედროვე ქართველი ფოტოგრაფია. მისი სუბიექტური აღქმა დეტალების მგრძნობიარე აქცენტებს აჩვენებს. ჩალათაშვილის შემოქმედება ხშირად პოეტურ მნიშვნელობას ანიჭებს დადგმულ ფოტოგრაფიას. მისი ინდივიდუალური სტილი ვლინდება ბუნებრივ განათებასა და დეტალებზე აქცენტებში. ნამუშევრების მთელი სტრუქტურა, სივრცულობა, ჰაეროვნება თავად გამოსახულების ემოციურ გაგებას განაპირობებს.

ფოტოგრაფიის დელიკატური ხიბლი და მიმზიდველი ძალა ლუიზა ჩალათაშვილის ფოტოგრაფიას განსაზღვრავს. ნარატივის მიღმა, გამოსახულება გარემოს ჰედონისტურ აღქმას გვთავაზობს. ეს არის ლუიზა ჩალათაშვილის მხატვრული ფოტოგრაფია, სადაც დეტალების სიზუსტე ერთგვარი სცენოგრაფიული ასახვით ხშირად ფირის კამერაზე ფიქსირდება.







REACH art VISUAL
ART consulting company

# PRESENTS

## PHOTOGRAPHY TODAY

# LOUISA CHALATASHVILI









Louisa Chalatashvili is a contemporary Georgian photographer. Her subjective perception depicts the sensitive accents of details. Chalatashvili's work often adds a poetic significance to staged photography. Her individual style is revealed in the delicate expression of natural light and details. The whole structure, spatiality, airiness of the works determines the emotional understan-ding of the image itself.

The delicate charm and captivating power of photography are extended while observing Luiza Chalatashvili's photography. The image beyond the narrative offers a hedonistic perception of the environment. This is Luiza Chalatashvili's artistic photography, where the accuracy of details is a kind of scenographic reflection, often captured by a film camera.

# CV

Luiza Chalatashvili was born on October 18, 1987 in Tbilisi. She spent her childhood and school years in Sagarejo. In 2008, she graduated from the Law department of Tbilisi State University. In 2011 she graduated from the Administrative Law department of Caucasus Law School with a master's degree.

Luiza took interest in photography in 2006 and started working on photo projects alongside her main profession. In 2010 she received a special price for creative shot at a photo contest "Kolga Tbilisi Photo". In 2015 she participated in a group exhibition "Discover Georgia in New York". In 2016, her personal exhibition "Frost" was held in Berlin. The same year won the project of the Georgian Public Broadcaster "A Person with a Camera" and "Kolga Tbilisi Photo" (mobile photo: one shot). In 2020, Luiza Chalatashvili's first personal exhibition was held at the Photo Studio in Tbilisi in collaboration with ReachArt Visual.



მარიამ შერგელაშვილი

# ფიქრები გიგო გაბაშვილის ფოტოგრაფიაზე









რა არის ის რასაც ადამიანის გონი და თვალი სინამდვილეში აღიქვამს? რა არის შიშველი სხეულის ძალა? სილამაზის სტანდარტებს მიღმა სიშიშვლე ყოველგვარი დასაზღვრულის მიუღებლობაა...

სიშიშვლე აღელვებაა, აღმაფრენაა და ზღვარდაუდებლის შეცნობაა. თავისუფლების, სილამაზის, მთლიანობის ექსპერიმენტი...

გაბაშვილის მხატვრობა რეალიზმის ფუძემდებლობიდან ფოტოგრაფიის მედიუმთან იკვეთება. ფოტოს მამხილებელი დოკუმენტური ხასიათი ინტიმურ ექსპრესიამდე გარდაიქმნება XX საუკუნის 20-იან, 30-იან წლებში, ეპოქაში, როდესაც ამგვარი ასახვა განსაკუთრებულ გამბედაობას მოითხოვს. ამ სითამამით გაბაშვილი სიმბოლიზმის რომანტიულ ხიბლში აშიშვლებს ინტიმსა და თავისუფლებას, ალეგორიულ და ნამდვილ ტკბობას, ამჟღავნებს ანდროგინული (ორსქესიანი არსებები) მითოსური არქეტიპისკენ სწრაფვას... დაჩხვლეტამდე დაბერილი ბუშტის უწონადობას სხეულის ლაღი, თავისუფალი, მომღიმარე, ოდნავ სევდიანი გამომსახველობა ენაცვლება.

შემოქმედებითი აღზევების ამგვარი კულმინაცია, გრძნობის თამაშით, ფიასკომდე არმისულ ვნებასა და სიცოცხლის წყურვილს ამხელს — სამყაროს სწრაფმავალი, ცვალებადი, დინამიური მშვენიერების ფონზე.







შენ იქ ხარ
სადაც ცნებების ფიქრში მთლიანდება
გრძნობაუწყვეტი
გაუთქმელი შეგრძნების ბადე -
გრილი კასკადი,
მწველი ამორი,
საპირისპირო პოლუსების მაგნეტიზმი
და ცნობიერი სიყვარულის გარდუვალობა...



უწონადობა...

გადარხეული ლავიწების
აზიდულობა...

ნეკნთაშორის დაგროვებულ
მძიმე ჟანგბადს ათავისუფლებს.

გადახეთქილი ნაპრალების შუა მანძილთან,
დაწევრებული ზმანებების უცხო აჩრდილი მიიზლაზნება...
მეათასეჯერ გადალახავს ზღვრის უგზო კიდეს
და ფერდებიდან შემოჭრილი დაგესლილი მიამიტობით
უთქმელ სიმპტომად დააწვება
დათქმულ ფართობებს...

ხმაში დალექილი, სიგიჟეშეპარული მოხმობა,
რწევისგან გაბუჟებულ სხეულს
უწონადობის უფსკრულებთან დაახლოებს...
და შეხებაში ვერგათქმული სინამდვილე
სივრციდან შენში გადმოიღვრება!



რა იქნება თუკი ზედაპირზე
სხეულების ძრთოლვანარევი
კონვულსია
სინამდვილის მკაფიო კონტურს
მოხაზავს?

შეხების და არგანცდილის
ან განცდილის და ვერშეხებულის
სხვადასხვაობა
საპირისპირო პოლუსზე რჩება

გათანაბრების შუალედში მოპოვებული
თავისუფლება
პინების გვერდით
მღელვარებაში განასკვული
დროებითობა

შიშის 4 მდგომარეობა -



# წასვლა,
# დარჩენა,
# გახსენება,
# ვერდავიწყება..

© გიგო გაბაშვილის ფოტო კოლექცია ინახება შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

HISTORICAL DISCOURSE

*Etudes of Nudity…*
*The charm of freedom and the eroticism of unity…*

*Mariam Shergelashvili*

# REFLECTIONS ON GIGO GABASHVILI'S PHOTOGRAPHY



What is it that the human mind and eye perceive as real? What is the power of a nude body? Nudity, beyond the beauty standards, is refusal of anything pre-defined. Nudity is exhilaration, ascension, and perception of the illimitable. An experiment of freedom, beauty, unity… Gabashvili's art is at the crossroads of the founders of Realism and the photographic medium. The revealing documentary nature of the photograph is transformed into an intimate expression in the 1920s and 1930s, an era when such reflection required special courage. With such courage, Gabashvili, in the romantic charm of symbolism, exposes intimacy and freedom, allegorical and real pleasure, reveals the striving for the androgynous (bisexual creatures) mythical archetype... The weightlessness of a balloon inflated up to its perforation is replaced by a delightful, free, grinning, slightly sad expression of the body. Such a culmination of creative ascents through the play of the senses, exposes the passion before the fiasco and the thirst for life - against the backdrop of the fast-paced, changing, dynamic beauty of the world.







You are there
Where concepts are forming
An everfeeling
Unspoken emotion net –
Long cascade,
Burning amour,
Magnetism of opposite poles
And the inevitability of conscious love …



Weightlessness…

Towering of
Swaying collar bones…

Liberates heavy air
Stuck between ribs.

In the middle of the burst clefts,
The foreign ghost of broken dreams is lurking…
Will pass the unpaved border edge times thousand
And overtaken, poisoned with naiveté,
Will burden the reserved spaces
Like untold symptoms…
Precipitated, crazy-seeming call,
Draws closer the body grown numb from rocking
Towards the weightlessness abyss…
And the truth, untold in touch
Pours into you from the space!

*What will be if on the surface*
*Trembling convulsions of bodies*
*Draws a clear outline of reality?*

*Touched and unfelt*
*Or felt and untouched*
*Their distinction*
*Remain on opposite poles*





*Freedom gained in the midst of equalization*
*Next to the pins*
*Temporality knotted up in excitement*

*The 4 states of fear –*

***Leaving,***
***Staying,***
***Remembering,***
***Never forgetting…***



© Gigo Gabashvili photo collection is stored at Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts

REACH art VISUAL
ART consulting company
PRESENTS

ისტორიული რაკურსი

# ზურაბ თიკანაძე







დაიბადა 1932 წელს თბილისში, საქართველო

| | |
|---|---|
| 1955-დან | საკავშირო და საერთაშორისო გამოფენები: იტალია, იაპონია, უნგრეთი, აშშ, ბელგია, ჰონკონგი<br>ჰონკონგის ფოტოგრაფიული საზოგადოების საპატო წევრი |
| 1957 | საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის ლაურეატი |
| 1958-დან | ჟურნალების "Psciazn" (პოლონეთი), "Svet Soveti", "Svet Socialismu" (ჩეხოსლოვაკია),<br>"Freie Welt" (გდრ) ფოტოკორესპონდენტი |
| 1959-დან | ჟურნალ „დროშას" ფოტოკორესპონდენტი |
| 1959 | ბრინჯაოს მედალი, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალზე ვენაში, ავსტრია - პირველი საერთაშორისო ჯილდო ქართული ფოტოხელოვნების ისტორიაში |
| 1962 | არჩეულ იქნა თბილისის ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექციის თავმჯდომარედ |
| 1962 | ბრინჯაოს მედალი, მოდენას საერთაშორისო ფოტოგამოფენაზე, იტალია |
| 1954, 1957 | საქართველოს სსრ და ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო დიპლომები პამირის მაღალმთიან ექსპედიციებში მონაწილეობისათვის |
| 1958 | ვერცხლის მედალი სსრკ პირველობაში ჯანღას ტრავერსისათვის |
| 1962 | სპორტის ოსტატის წოდება ალპინიზმის სახეობაში |
| 1963 | ტრაგიკულად დაიღუპა სვანეთში, შხარადან დაშვებისას |











გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივიდან

REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

SPECIAL REPRESENTATION



# GURAM



# TIKANADZE



## BORN IN 1932 IN TBILISI, GEORGIA







| | |
|---|---|
| Since 1955 – Soviet and International Exhibitions: Italy, Japan, Hungary, USA, Belgium, Hong-Kong. | |
| | Elected as an Honorary member of the Photographical Society of Hong-Kong |
| 1957 | Laureate of the First Youth Festival in Georgia |
| Since 1958 | Photo-correspondent of such magazines as "Psciazn" (Poland), "Svet Soveti", "Svet Socialismu" (Czechoslovakia), "Freie Welt" (GDR) |
| Since 1959 | Photo-correspondent of the Georgian magazine "Drosha" |
| 1959 | Awarded a Bronze Medal at the World Festival of Students and Youth, Vienna, Austria – the First International Award in the history of Georgian Photography |
| 1962 | Elected as the Chairman of the "Union of Photojournalists" of Tbilisi |
| 1962 | Awarded a Bronze Medal at the International Photo Exhibition in Modena, Italy |
| 1954, 1957 | Awarded with an Honors Diplomas by the Presidiums of the Supreme Soviet of the Tajik and Georgian SSR for taking part in an Alpine Expeditions in the Pamirs |
| 1958 | Awarded with the Silver Medal in Jungha for traverse in the competition of Soviet Union |
| 1962 | Sport Master in Mountaineering |
| 1963 | Died tragically descending the Shkhara mountain in Svanetia, Georgia |









G. Leonidze Museum of Georgian Literature archival material

REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

# ფოტოგრაფი ფოკუსში



ნათელა გრიგალაშვილი



## ნათელა გრიგალაშვილი

მოღვაწეობს თბილისში
ე.წ. ფრილანს ფოტოდოკუმენტალისტი







წარსულში მუშაობდა, როგორც ფოტორეპორტიორი და კინოოპერატორი. კარიერის საწყის ეტაპზე შავ-თეთრ ფირზე მუშაობდა; 10 წელზე მეტია, რაც უპირატესობას ფერად ფოტოგრაფიას და ციფრულ კამერას ანიჭებს.

ხელოვანი, ძირითადად, გრძელვადიან დოკუმენტურ პროექტებზე მუშაობს საქართველოს სოფლებსა და პროვინციულ ქაალქებში, რის ფარგლებშიც ის ადგილობრივთა ცხოვრების წესს და გამოწვევებს აკვირდება და შეისწავლის... ისტორიები კი, საბოლოოდ ფოტოსერიების საშუალებით გადმოიცემა.

2007 წელს ნათელა გრიგალაშვილი იღებს ალექსანდრე როინიშვილის პრემიას ფოტოგრაფიაში; 2015 წელს აარსებს ფოტოსააგენტოს - Kontakt Photos და ფოტოგრაფიის კლუბებს რეგიონებში: 2014 წელს - ჯავახეთში, 2015 წელს - პანკისის ხეობაში და 2016 წელს აჭარაში.

ნათელა გრიგალაშვილი იყო მხატვრული ფილმის “სერგო გოთვერანი“ (რეჟ. ირაკლი ფანიაშვილი) ოპერატორი.











Natela Grigalashvili





# NATELA GRIGALASHVILI

## Freelance documentary photographer
## Based in Tbilisi, Georgia.

In the past Grigalashvili has worked as a photo reporter as well as a film operator. In the beginning of her carrier she used to shoot with black-and-white film but for more than a decade Grigalashvili has been taking color photographs with a digital camera. Artist mainly works on long-term documentary projects in the rural areas of Georgia focusing on the lives and issues of people living in villages and provincial cities. While working on a photo series Grigalashvili focuses on the story which is told by the image.

Natela Grigalashvili was awarded the Alexander Roinishvili Prize for her contribution to Georgian photography in 2007. In 2015 she founded a photo agency in Georgia – Kontakt Photos.

Grigalashvili founded photography clubs in Javakheti (2014), in the Pankisi Gorge (2015) and in Adjara (2016).

She was cameraman for georgian movie Sergo Gotverani (directed by Irakli Paniashvili, 2009).
















REACH art VISUAL
ART consulting company
PRESENTS

სპეციალური ნარდგენა

# ინტერვიუ
# ნესტან ნიჟარაძესთან

## თბილისის ფოტოგრაფიის და მულტიმედიის მუზეუმი



 

**ნესტან, თქვენი მოღვაწეობა ფოტოგრაფიის სფეროში ხანგრძლივ პერიოდს და უამარავ მნიშვნელოვან პროექტს ითვლის. როგორ გამოიკვეთა თქვენი დაინტერესება ფოტოგრაფიისადმი და როგორ განვითარდა თქვენი პროფესიული გზა?**

ფოტოგრაფიით ჩემი დაინტერესება კონკრეტულ პერიოდს უკავშირდება, როდესაც აუდიო-ვიზუალურ მიმართულებაზე წავედი სწავლის გასაგრძელებლად პარიზის უნივერსიტეტში. იქ სწავლისას რაღაც ისეთი კავშირი გამიხსნა ფოტო გამოსახულებამ, რომ მივხვდი – ეს არის ენა, რომელზეც მინდა ვილაპარაკო. ჩემთვის იმ პერიოდში ახალი ენის დაუფლების ვნება აქტუალური იყო, რადგან ფრანგულსაც ვეუფლებოდი და ამავდორულად, ეს ვნება ფოტოგრაფიული ენის გაცნობას დაუკავშირდა. პარიზი ერთმნიშვნელოვანად არის ფოტოგრაფიის ცენტრი - ნამდვილი მექა. ვინაიდან ეს ინტერესი გამიჩნდა ბევრი რამ ჩემით ვნახე, ვისწავლე და ასე განვითარდა ჩემი მიდგომები ამ სფეროში და ამგვარად დაიბადა სხვადასხვა პროექტის, მათ შორის ფოტოფესტივალის იდეა, მუზეუმის იდეა, რასაც სამომავლოდ კიდევ ახალი იდეები და განვითარება მოყვება.

**თბილისის მულტიმედია და ფოტოგრაფიის მუზეუმი. გაგვაცანით მისი ჩამოყალიბების იდეა და მოკლე ისტორია**

მუზეუმი ინსტიტუციურად არის საკმაოდ ახალგაზრდა. ის დაფუძნდა 2019 წელს, როდესაც აჭარა ჯგუფთან თანამშრომლობით შედგა შეთანხმება და სტამბის სივრცეში მოგვეცა მუზეუმის მოწყობის შესაძლებლობა. მუზეუმის დაფუძნების წინაპირობად იქცა ფოტოფესტივალის პროექტი. ფესტივალზე მუშაობისას გამოიკვეთა საჭიროებები, რომ ამ მიმართულებით მუშაობა არამხოლოდ საფესტივალო პროგრამის ფარგლებში, არამედ ინსტიტუციურად არის მნიშვნელოვანი ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. აქტიურად ვმუშაობთ სამხრეთ-კავკასიის რეგიონზე.

მუზეუმის დაარსებიდან მალევე პანდემია დაიწყო და მოგვიწია მრავალთვიანი დახურვა. დადგა ფიზიკური არსებობის შეუძლებლობა, მაგრამ ძალიან კარგი არის ის, რომ ადამიანი ეჩვევა ყველაფერს, ჩვენც ვადაპტირდით. პანდემიის მტკივნეული გამოცდილება ვეცადეთ პოზიტიურად გაგვეაზრებინა. 2021 წლის მარტიდან თავიდან გავიხსენით, 2021 წლის ოქტომბრიდან კიდევ ერთხელ უფრო მასშტაბური პროექტებით გავხსენით სივრცე და ამის აღარ შეგვეშინდა. მოხარული ვარ რომ მუზეუმში მიმდინარე დავით მესხის და გურამ წიბახაშვილის ორი გამოფენა ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე ნახვადი გამოფენა გახდა. სტატისტიკის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ დათვალიერების მხრივ საგამოფენო დარბაზებს შორის მეორე ადგილზე ვართ. პირველზე არის ეროვნული გალერეა. მგონია, რომ ორწელიწადნახევრიანი ისტორიის მქონე ინსტიტუციისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ამით იკვეთება ისიც, თუ რამდენად აქტუალურია და საჭირო, რომ არსებობდეს ჩვენს რეალობაში ალტერნატიული პლატფორმები. ალტერნატიულს, ვამბობ იმიტომ, რომ ჩვენი მუზეუმი ნამდვილად განსხვავებული მიდგომით მუშაობს, რეალიზაციის და გამოწვევების საკითხებიც განსხვავებულია. აქ არ კეთდება გამოფენა გამოფენისთვის, არამედ ჩვენ ვახორციელებთ აზრითა და იდეებით დატვირთულ ერთგვარ მანიფესტაციებს, რომელთაც გამოფენის ფორმა აქვთ. ასევე, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ექსპოზიციის სცენოგრაფიას, სივრცეს, რომელსაც თავისი ისტორია აქვს.

**მუზეუმი ინტენსიურ და აქტიურ საგამოფენო პოლიტიკას ეწევა. რა არის ის მთავარი ხედვა და მიზანი რაც განსაზღვრავს მუზეუმის საგამოფენო სტრატეგიას?**

მუზეუმის საგამოფენო პოლიტიკა გაცილებით მდიდარი და მრავალშრიანი იქნებოდა სხვა სოციო-პოლიტიკურ მოცემულობაში რომ ვიყოთ. ახალი და ალტერნატიული პლატფორმა, რომელიც შეიქმნა მუზეუმის სახით არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეიქმნა და მთლიანად ფანდრაიზინგზე დგას. არანაირი სუბსიდირება მას არ გააჩნია და ჩვენ გვიწევს ოპერირება ძალიან ქაოტურ, დაუბალანსებელ სახელოვნებო სივრცეში. განვითარებაც ამ სივრცის ძალიან ქაოტურად, ეპიზოდურად და კონვულსიურად ხდება. საგამოფენო პოლიტიკას განსაზღვრავს ერთის მხრივ ხედვა და მეორე, ამ ხედვის რეალიზაციისთვის საჭირო ფინანსური შესაძლებლობები. ამ ეტაპზე დიდი მხარდაჭერა გვაქვს ძალიან ცნობილი საერთაშორისო არტისტებისგან, ჩვენთვის ისინი გარკვეულ გამონაკლისს აკეთებ და განსაკუთრებულად მხარს გვიჭერენ. ამჟამინდელი საგამოფენო პანდემიის პოლიტიკა სამ კომპონენტზე გვაქვს აგებული, არ ვუღალატოთ ჩვენს ხედვას, ფილოსოფიას და



გავაგრძელოთ თანამედროვე გამოსახულება ვამუშაოთ როგორც მნიშვნელოვანი ცვლილებების კატალიზატორი. მეორე არის ამის გათვა;ლისწინებით არ გავხდეთ სოციალური სააგენტო და ვიყოთ სახელოვნებო ინსტიტიუცა და შევძლოთ ვაწარმოოთ ჩვენთვის სასურველი სგამაოფენო პოლიტიკა.მესამე მოვარგოთ ეს ყველაფერი იმ ფინანსურ შესაძლებლობებს რაც მოპოვებადია ჩვენს სინამდვილეში. ძალიან დიდ „ღელვაში მივცურავთ პატარა ნავით და იალქნების ნაცვლად გაშლილი გვაქვს თანამედროვე გამოსახულება.



**თქვენ ახსენეთ თბილისის საერთაშორისო ფოტოფესტივალი. მასშტაბური და მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც უკვე ათწლეულს ითვლის. გაგვიზიარეთ ამ პროექტის გამოწვევები, მიზნები და შედეგები.**



2010 წლიდან დავიწყეთ ფესტივალის განხორციელება,რაც საკმაოდ მდგარადი პროექტი აღმოჩნდა. როდესაც ეს ფესტივალი იქმნებოდა სრულიად სხვა პოლიტიკური მოცემულობა იყო. პოლიტიკური კონტექტსი, რამაც გვაფიქრებინა თუ რა შეიძლება გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნისთვის, ეს იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. მაშინ მე პირდაპირ ვიყავი ჩართული და ვმუშაობდი საერთაშორისო ფოტოგრაფებთან ერთად ვინც აშუქებდნენ ომს და მეც 24 საათში ომის ქრონიკაზე ვწერდი და ვმუშაობდი. თვალწინ ჩაიარა როგორც ხუთმა დღემ, ისევე მძიმე იყო ამის შემდგომი ხანგრძლივი პერიოდი. ამ ყველაფერმა დაგვანხა, რომ საჭიროა და აუცილებელია მსოფლიოსთან სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამონახვა. გვსურდა „ხმამაღლა“ გაეგო საერთაშორისო საზოგადოებას, რომ არსებობს საქართველო, ქვეყანა, რომელსაც გააჩნია მდიდარი ვიზუალური კულტურა. ეს იყო ჩვენი, ფესტივალის გუნდის, მთავარი მიზანი. ფესტივალი დავაარსეთ მე

და ჩემმა მეგობერმა, ფრანგმა ფოტოგრაფმა, ლეონელ შარიემ, რომელიც დღესდღეობით გაზეთ ლიბერასიონის (ყოველდღიური ფრანგული გაზეთ) ფოტორედაქტორია. ლეონელი ომის გადასაღებად იყო მაშინ ჩამოსული, გავიცანით ერთმანეთი ფრონტის ხაზზე და ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა. შემდეგ დაიბადა ფესტივალის იდეა, რომლის განხორციელება ჯერ საფრანგეთთან კავშირით დავიწყეთ შემდეგ ევროპაზე გაიზარდა მასშტაბები. გვსურდა ქართული ვიზუალური კულტურა ალტერნატიულად საერთაშორისო თანამედროვე გამოსახულების გვერდით მდგარიყო, რომ მხოლოდ ჩვენი ფოლკლორით არ ველაპარაკოთ თანამედროვე სამყაროს. ფოტოფესტივალი ამ წლების მანძილზე, რაც მთავარია აღმოჩნდა ძალიან მნიშვნელოვანი ძვრების შემქმნელი, თანამედროვე გამოფენის სტანდარტის განმსაზღვრელიც. ამბიციები კიდევ უფრო მეტია, რომ საზოგადოებამ, გააცნობიეროს თანამედროვე რეალობა რა სამყაროში ვცხოვრობთ, რა როლი გვაქვს სახელოვნებო პერსპექტივით



**მუზეუმის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საშუალებები როგორია?**

კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია დღევანდელობის, პანდემიამ ხელი შეუწყო ამის გამოკვეთას. ჩვენ გვაქვს ესეთი მიმართება რომ ვქმნით შინაარსებს, გრძელვადიანი მოქმედების გეგმას და შესაბამისად ვაწარმოებთ კომუნიკაციას. შეიძლება უფრო აგრესიულიც იყოს ეს კომუნიკაცია, თანამედროვეობა იტანს ამ-გვარ მიდგომას საკომუნიკაციო ველში. ჩვენ უფრო აქტიურები ვართ იმაში რასაც ვაკეთებთ და ნაკლებად აქტიური კომუნიკაციაში. დღემდე ჩვენი, როგორც მუზეუმის, კომუნიკაცია ძირითადად ციფრულ, დიგიტალურ ველში ხორციელდება, არ გვაქვს სპეციალურად ბილბორდები, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ სივრცეში მოსულ ადამიანს გამიზნულად უნდა მუზეუმისა  და მისი გამოფენების ნახვა.



**მსურს ჩვენი საუბარი სუზან ზონტაგის ციტირებით დავასრულოთ: „მხატვარი აშენებს, ფოტოგრაფი ამხელს“. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ საკითხს? რა არის მთავარი განმსაზღვრელი, რომლის საფუძველზე ზონტაგისეული „მხილება“ ფოტოს ხელოვნების გამორჩეულ მედიუმად წარმოგვიდგენს?**



პირველ რიგში დოკუმენტურობა, რომელიც დგას პირველ ფლანგზე, როცა ფოტოგრაფიის სპეციფიკაზე და მედიუმის გააზრებაზე ვსაუბრობთ. ამიტომაც შეიძლება ვიგულისხმოთ რომ ფოტო ამხელს, რადგან ის არის დოკუმენტი. ფოტოგრაფი ასახავს რეალობას, თუმცა ჩემთვის, ფოტოს მედიუმის საკმაოდ კომპლექსურ კონტექსტში გაანალიზებისას, ეს ყველაზე ნაკლებად მიმზიდველია. მხილების უნარის ქონა არ არის ის რასაც მე დავასახელებდი როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს. ფოტოგრაფიის გამოგონებისას ფრანგმა აკადემიკოსებმა განსაზღვრეს, რომ ამიერიდან საზოგადოება შეძლებს მიიღოს ზუსტი გამოსახულება. მანამდე ამას ცდილობდა ფერწერა, რომ შეექმნა გამოსახულებითი რეალობა. ფოტოს მედიუმის განვითარების ისტორიამ მალევე გვანახა, რომ  ფოტოს გაცილებით მეტი შეუძლია ვიდრე მხოლოდ რეალობის ასახვა. ფოტოს აქვს უნარი არამხოლოდ დაგანახოს და დაგარწმუნოს, რომ რასაც ხედავ ნამდვილია, არამედ ზემოქმედება მოახდინოს შენზე.





იგივე ზონტაგი განსაზღვრავს ამას, რომ ფოტოგრაფიას ადამიანის ცნობიერებაზე, მის სინდისზეც, კი შეუძლია მოახდინოს ზემოქმედება. ჩემთვის ყველზე მნიშვნელოვანია ეს კავშირი, როცა ფოტო რაღაცას მეუბნება. შეიძლება პირველი წამიდან ეს გაუთვიცნობერებელია, მაგრამ მერე ხდება ერთგვარი სინერგია - იმასთან რაც ავტორმა ჩადო გამოსახულებაში და რაც ამ გაოსახულებამ ჩემში მოიტანა. ეს მისტიკა არის პირადად ჩემთვის მთავარი რაც დღემდე მამოძრავებელი ძალაა. ვფიქრობ, ამ ენაზე ნათქვამი გაცილებით მეტად ძლიერად იოქმედებს ადამიანებზე. ფოტოგრაფია არის ჩემთვის გამოსახულების ენა, ერთგვარი ფილტრი ჩემსა და რეალობას შორის და თუკი რაიმე მინდა ვიცოდე ამ რეალობაზე, მსურს ეს ფოტოგრაფიულად შევიცნო.



REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

SPECIAL REPRESENTATION

# Tbilisi Photography and Multimedia Museum



## Interview with Nestan Nijaradze



**Nestan, your photography career encompasses a long period and numerous important projects. How did your interest in photography first develop and how did your professional path advance?**

My initial interest in photography goes back to the specific period when I went to study audio-visual art in Paris. While studying there, photo depiction opened up a connection for me that made me realize this is the language I want to speak. In that time, the passion of mastering a new language was very relevant to me as I was also learning French, and this got intertwined with mastering the photographic language as well. Paris is undoubtedly the center of photography – a real Mecca. Since I had that interest, I saw and taught myself many things, I learned and developed my approaches to this field. This is how I got many project ideas, including a photo festival, museum, and others that will be followed by future developments.

**Tbilisi Photography and Multimedia Museum. Tell us about its establishment and short history.**

The museum, institutionally speaking, is quite young. It was established in 2019, when we reached an agreement with the Adjara Group and were given the possibility to set up a museum in the space of Stamba. The precondition of opening up the museum was the idea of a photo festival project. While working on the festival, it was identified that work in this direction is necessary not only within the framework of the festival program, but also institutionally, at the local and regional levels. We are actively working in the South Caucasus region.

Soon after opening up the museum, the pandemic started and we were forced to shut down for months. We were facing physical impossibility to survive, but, as humans thankfully do, we adapted and became smaller. We tried to rethink the painful experience positively. We reopened on March 2021, from October 2021 we opened the space again with larger projects and were no longer afraid of it. I am glad that the two exhibitions of Davit Meskhi and Guram Tsibakhashvili became one of the most visited exhibitions in the city. According to the statistics, we are in the second place among the exhibition halls in terms of viewing. The National Gallery takes the first spot. I believe this is a very important indicator for an institution with only a two and a half years' worth of history. This demonstrates the need and relevance of existence of alternative platforms in our reality. I say alternative because our museum works with a really different approach, the issues of realization and challenges are also different. There is no exhibition just for the sake of an exhibition, we carry out manifestations loaded with thoughts and ideas, which take the form of exhibitions. We also place a lot of emphasis on the scenography of exhibitions, the space which carries its own history.

**The Museum pursues an intensive and active exhibition policy. What is the main vision and goal that defines the museum's exhibition strategy?**

The museum's exhibition policy would have been much richer and more multifaceted in a different socio-political context. The new and alternative platform in the form of a museum was created by a non-governmental organization and relies entirely on fundraising. It has no subsidies and we have to operate in a very chaotic, unbalanced art space. The development of this space also happens very chaotically, episodically and convulsively. Exhibition policy is determined on the one hand by the vision and on the other hand by the financial capabilities required to realize that vision. At this stage we have great support from very famous international artists who support and make certain exceptions for us. The policy of the current exhibition pandemic is built on three components, not to betray our vision, philosophy and continue to work on the modern image as a catalyst for significant change. The second is to keep in mind that we should not become a social agency and be an art institute and be able to produce the exhibition policy we want. Third, adapt all of these to the financial possibilities that are available to us in our reality. We are sailing in choppy waters in a very small boat and instead of sails we have a modern image put up.

**You mentioned the Tbilisi International Photo Festival – a large-scale, important event that counts decades. Tell us about the challenges, goals and results of this project.**

We started the festival in 2010, which turned out to be quite a solid project. When this festival was created, we had a completely different political setting. The political context that made us think about what we could do for our country was the 2008 Russia-Georgia war. Back then I was directly involved and working with international photographers who were covering the war. I was also writing and working on the war chronicle 24 hours a day. The five days passed in front of me, as well as the long and hard post-war period. All this showed us the need to find different means of





communication with the world. We wanted the international community to clearly understand to that there is Georgia, a country with a rich visual culture. That was the main goal of our festival team. The festival was founded by me and my friend, a French photographer, Lionel Charrier, who is currently the photo editor of the newspaper Libération (a French daily newspaper). Lionel was here to capture the war, we met each other on the front line and our friendship began. Then the idea of a festival was born, the implementation of which we first started with connections with France and then the scale increased to Europe. We wanted Georgian visual culture to stand next to the international contemporary image as an alternative, so that we do not speak to the modern world only through our folklore. The photo festival during these years, most importantly, turned out to be the initiator of very important shifts, as well as the defining standard of the modern exhibition. The ambitions are even more - for the society to realize the modern reality, what world we live in, what role we have from an artistic perspective.

**What are the means of communication with the public for the museum?**

Communication is an integral part of the modern world, and the pandemic has only highlighted this. Our approach is this – we create the essence, long-term action plans, and conduct the communication accordingly. This communication can be even more aggressive, modernity tolerates such an approach in the field of communication. We are more active in what we do and less active in communication. Our communication is mainly in the digital field, we do not have specific billboards and people who come to this space purposefully want to see the museum and its exhibitions.

**I would like to finish off our conversation with Susan Sontag's quote: "The painter constructs, the photographer discloses". How would you assess this issue? What is the main determinant of Sontag's "revelation", presenting the art of photography as a distinctive medium?**

First and foremost, the actuality that stands out when we talk about the specifics of photography and the understanding of the medium. This is why we can imply that the photo reveals because it is a document. The photographer reflects reality, however for me, when analyzing a photo medium in a rather complex context, this is the least attractive aspect. Having the ability to disclose is not what I would name as the most important. When inventing photography, French academics determined that from then on society would have been able to obtain accurate images. Before that, it was paintings trying to create an imaginative reality. The history of the development of the photo medium soon proved that photography can do much more than just reflect reality. A photo has the ability not only to show and convince you that what you see is real, but also to affect you. Sontag also states that photography can affect a person's consciousness, even his conscience. The connection when a photo tells me something is the most important to me. It may be instinctive at first, but then there is a kind of synergy - with what the author put in the image and what this image brought to me. This mysticism is the driving force for me. I think speaking this language will have a much stronger impact on people. Photography is for me the language of images, a kind of filter between me and reality, and if I want to know anything about this reality, I want to learn it through photography.

PRESENTS

სპეციალური წარდგენა



# გორელ ფოტოგრაფთა კლუბი

გორელ ფოტოგრაფთა კლუბი 2013 წელს შეიქმნა საინიციატივო ჯუგფის სახით, 2015 წლიდან კი ჩამოყალიბდა არაკომერციულ (არასამთავრობო) ორგანიზაციად. ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს თანამედროვე ხელოვნების, არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდათა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. კლუბი დაარსების დღიდან ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს: მათ შორის ფოტოგრაფიის შემსწავლელ კურსებს, სემინარებსა და მასტერკლასებს. აწყობს გამოფენებს, ინსტალაციებს.

2018 წელს კლუბმა გამართა პირველი ჯგუფური გამოფენა “ახალგაზრდობისილუზია“ რომლის კურატორიც მირიამ გრიგალაშვილი იყო. გამოფენა კლუბის თორმეტი წევრის ნამუშევრებს აერთიანებდა, დოკუმენტური, კონცეპტუალური და ქუჩის ფოტოგრაფიის ჟანრებიდან და წარმოადგენდა ერთგვარ კვლევას მცირე ურბანულ სივრცეში გარემოსა და მასში ინდივიდის შეცნობაზე.

2016 წელს კლუბმა დაიწყო პროექტ “ხელოვნების სახლი / Art Houses”-ს განხორციელება. ადვოკატირების კამპანიის შედეგად გადმოგვეცა დანაგვიანებული შენობა, მოვახდინეთ რეაბილიტაცია მოხალისეებთან ერთად და უკვე 2020 წლის ბოლოს დავიწყეთ პირველი გალერეის და არაფორმალური საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციონირება.









# 4 გამოფენა



**“19 კითხვა”** – კურატორი მირიამ გრიაგალაშვილი. “კუთვნილებისადა საკუთარი ადგილის ძიების პროცესს იკვლევს გამოფენა „19 კითხვა“. ეს არის მონაწილეთა მიერ საკუთარი ადგილის ძიების მცდელობა, პირადი გამოცდილებებითა და ისტორიებით, რომლებსაც ისინი თავიანთი სერიებით გვიყვებიან, იმაზე, თუ ვინ არიან, საიდან მოდიან და როგორ მოვიდნენ აქამდე.” “გორელ ფოტოგრაფთა კლუბის” ჯგუფური გამოფენა.

**VA[A]DS-ის სტუდენტების გამოფენა** – თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტების ფერწერული და ვიდეო ხელოვნების ნამუშევრები

**ციფრული წარსული** - გორელ ფოტოგრაფთა კლუბმა საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გორის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის 250 ძეგლამდე ფოტოფიქსაცია მოვახდინეთ. გამოვეცით კატალოგი და გავმართეთ გამოფენა ხელოვნების სახლში

2020 წელს **გორელმა ფოტოგრაფმა ნიკო კალანდაძემ** საჩუქრად გადასცა კლუბს საკუთარი არქივი, რომელიც შედგება 80-იან წლებში გადაღებული ნეგატივებისგან. ჩვენ გავაციფრეთ 20 000-მდე ფოტო, დავამუშავეთ და მირიამ გრიგალაშვილის კურატორობით მოვამზადეთ გამოფენა და ფოტო წიგნი.

პერიოდულად ხელოვნების სახლში იმართება საჯარო შეხვედრები სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებთან





"ნიკო კალანდაძის არქივი, რომელსაც ფოტოგრაფი დაახლოებით 25 წლის მანძილზე ქმნიდა გორში, წარმოადგენს უნიკალურ ვიზუალურ მასალას, სადაც შეულამაზებლადაა აღბეჭდილი ქალაქისა და მისი მაცხოვრებლების ყოველდღიურობა."



ამჟამად კლუბს ყავს 30-მდე წევრი რომლებიც პარალელურად მუშაობენ პერსონალურ ფოტოპროექტებზე.
იღებენ სხვადასხვა ჟანრში, სხვადასხვა თემატიკას, მონაწილეობენ კონკურსებსა და გამოფენებში.

REACH art VISUAL
ART consulting company

# PRESENTS

## SPECIAL REPRESENTATION

# GORI PHOTOGRAPHERS CLUB





ART HOUSE
ხელოვნების სახლი

# So far 4 exhibitions have been held:

1. "19 Questions" – curated by Mariam Grigalashvili. Belonging and the search of one's own place is explored by the exhibition "19 Questions". It's an attempt by participants to find their own place, through personal experiences and the stories they tell in their series, about who they are, where they come from and how they came to be here." Group exhibition of "Gori Photographers Club".
2. Student Exhibition of VA[A]DS - third- and fourth-year students of Free University School of Visual Arts, Architecture and Design (VA [A] DS) presented paintings and video art.
3. Digital Past - Gori Photographers Club, with the support of the Ministry of Culture of Georgia, photographed up to 250 cultural heritage monuments in Gori Municipality. A catalog was published and an exhibition was geld at the Art House.
4. In 2020, Niko Kalandadze, a photographer from Gori, handed over his personal archive to the club, which consists of negatives taken in the 80s. The club digitized up to 20,000 photos, processed them and prepared an exhibition and a photo book under the curatorship of Miriam Grigalashvili.



"Niko Kalandadze's archive, which the photographer has been creating in Gori for about 25 years, is a unique visual material that beautifully captures the daily life of the city and its inhabitants."

Periodically, Art Houses holds public meetings with representatives of the artistic circles.

# GORI PHOTOGRAPHERS CLUB



Gori Photographers Club was established in 2013 as an initiative group, and in 2015 it became a non-profit (non-governmental) organization. The main areas of activity of the organization are the promotion of contemporary art, non-formal education and professional development of young people. The club, from its very foundation, has been organizing different types of activities, including photography courses, seminars and masterclasses, exhibitions and installations.

In 2018, the club held its first group exhibition "Youth Illusion" curated by Miriam Grigalashvili. The exhibition brought together the works of twelve club members, ranging from the genres of documentary, conceptual and street photography, and was a kind of study on the cognition of the environment and the individual in a small urban space.

Since 2016, the club has been carrying out the project “Art Houses”. As an outcome to an advocacy campaign, the club received a run-down building, which was rehabilitated with the help of volunteers. At the end of 2020, first gallery and informal education center were established.

REACH
art VISUAL
ART consulting
company

14, M. Kostava ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
+995 555 551 171
reachart.visual@gmail.com
@ReachArtConsulting
reachart.visual

# IMPRESSUM

ISSN 2667-9728 (Online)

ზე-გავლენა GAVLENA

COVER: Boris Mikhailov

| | |
|---|---|
| Publishing and Concept | - Thea Goguadze (Tea Nili) |
| Art Historian | - Mariam Shergelashvili |
| Editor | - Mariam  Shergelashvili |
| Design | - Irina Kacharava - iStudio |
| Translation and Editing | - Ketevan Uchaneishvili, Andriy Etcheverry |
| Interview | - Boris Mikhailov |
| | - Guram Tsibakhashvili |
| | - Nestan Nizharadze |
| Photo credits | - Mari Ataneli |
| | - Louisa Chalatashvili |
| | - Natela Grigalashvili |
| | - Guram Tsibakashvili |
| | - Ketevan Magularia |
| | - Guram Muradovi |
| | - Tbilisi Photography and Multimedia Museum |
| | - Gori Photographers Club |
| | - Prime Time |
| | - Hammock Magazine |

*This work, including its parts, is protected by copyright. None of the materials may be redistributed or reproduced, in whole or in part, in any formor by any means without the consent of the publisher and the author. This applies to electronicor manual reproduction, including photocopying, translation, distribution and other forms of public accessability*

ყდაზე: ბორის მიხაილოვი

| | |
|---|---|
| გამომცემელი და კონცეფცია | - თეა გოგუაძე (თეა ნილი) |
| ხელოვნებათმცოდნე | - მარიამ შერგელაშვილი |
| რედაქტორი | - მარიამ  შერგელაშვილი |
| დიზაინი | - ირინა კაჭარავა - iStudio |
| თარგამანი და კორექტურა | - ქეთევან უჩანეიშვილი, ანდრი ეჩევერი |
| ინტერვიუ | - ბორია მიხაილოვი |
| ინტერვიუ | - გურამ წიბახაშვილი |
| ინტერვიუ | - ნესტან ნიჟარაძე |
| ფოტო | - მარი ათანელი |
| | - ლუიზა ჩალათაშვილი |
| | - ნათელა გრიგალაშვილი |
| | - გურამ წიბახაშვილი |
| | - ქეთევან მაღულარია |
| | - გურამ მურადოვი |
| | - თბილისის ფოტოგრაფიისა და მულტიმედია ხელოვნების მუზეუმი |
| | - გორელ ფოტოგრაფთა კლუბი |
| | - Prime Time |
| | - ჟურნალი Hammock |

ეს ნამუშევარი, ყველა ნაწილის ჩათვლით, დაცულია საავტორო უფლებებით. დაუშვებელია ნამუშევრის, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმით გამოყენება, გავრცელება, ან გადაღება გამომცემლისა და ავტორის თანხმობის გარეშე. ეს ეხება ელექტრონულ თუ მექანიკურ მეთოდებს, მათ შორის ფოტოასლის გადაღებას,თარგმანს, და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის სხვა ფორმებს.

## In cooperation with

iSTUDIO GRAPHIC DESIGN LABORATORY

14, M. Kostava ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
+995 599 502 500
irina.kacharava1@gmail.com
@istudiolab
istudiolab
www.istudiolab.ge

Digital Publication - www. http://reachartvisual.com/
ISSN 2667-9728 (Online)
© Reach art Visual 2021
I/D 4045922295 - Georgia

i STUDIO GRAPHIC DESIGN LABORATORY

# GIVE US A CALL. UNLESS YOUR COUSIN CANDOIT

CORPORATE & CONSUMER BRANDING
MARKETING & ADVERTISING DESIGN
PUBLICATION DESIGN
PRINT DESIGN
CORPORATE DESIGN
PACKAGING DESIGN
PHOTOSESSION
WEB DESIGN
WEB DEVELOPMENT

**STAMBA HOTEL** - 3 rd floor
14, M.Kostava St., Tbilisi, Georgia
+995 599 502 500
istudiolab.ge

# ANNOUNCEMENT
## ანონსი

08

PERFORMANCE



# ZE GAVLENA